



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის
2. გაერთო კონკურსი ჟურნალისტებისთვის
3. კორუფციასთან დაკავშირებული, საცხოვრისის პრობლემის მოგვარებისაკენ მიმართული მედიაპროექტები
4. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები
5. სამოგზაურო გრანტები ჟურნალისტებისათვის Climate Tracker-გან
6. კულმანის ცენტრის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის, მწერლებისა და მხატვრებისათვის
7. ნიმანის ფონდის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის, მედია ანალიტიკოსებისათვის, გამომცემლებისათვის, ლექტორებისა და ვებ-დიზაინრებისათვის
8. გრანტები ტრანსსასაზღვრო გამოძიებებისათვის, კონკურსი ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის
9. პრალის სამოქალაქო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამა
10. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია
11. ვიშეგრადის გრანტები
12. გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის
13. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტიგლერის ცენტრის სტიპენდია ჟურნალისტებისთვის
14. კონკურსი არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის საკითხებში ცნობიერების ამაღლების თემაზე
15. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის
16. ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდიები Chevening Scholarships
17. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი

1. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ამ სტიპენდიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, აუდიო, ვიდეო, ახალი მედია და ფილმის შემქმნელებს - კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, აშშ. რედკლიფის სახელობის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სასტიპენდიო პროგრამა სთავაზობს მონაწილეებს იმუშაონ ამოცანების ფართო სპექტრზე, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა პროფესიას, სამეცნიერო სფეროს და ხელოვნებას, ჟურნალისტიკის ჩათვლით. სტიპენდიის მოცულობა - 77 500 დოლარამდე წელიწადში, პროექტის განხორციელებისათვის დამატებითი ხარჯების გამოყოფით. სტიპენდიანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ოფისი და სტუდია, ასევე ექნებათ წვდომა ბიბლიოთეკასა და სხვა რესურსებზე. პროგრამა გათვლილია 2020 სექტემბრიდან 2021 წლის მაისამდე.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/2lBYrFX>

განაცხადების მიღების ვადა: 12 სექტემბერი 2019 წ

2. გაეროს კონკურსი ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

გაეროს კორესპონდენტების ასოციაცია იღებს საკონკურსოდ მასალებს შემდეგ სამ კატეგორიაში: „ბეჭდური და ონლაინ პუბლიკაციები“, „რადიო და ტელევიზია“ და „კლიმატის ცვლილებები“. კონკურსში მონაწილეობისთვის ინვევენ ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ გაეროს და მისი ქვედანაყოფების საქმიანობას. მასალები უნდა იყოს გამოქვეყნებული 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის აგვისტომდე პერიოდში. ნამუშევრები შეიძლება იყოს წარმოდგენილი გაეროს ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე. სხვა ენაზე შესრულებულ მასალებს უნდა ახლდეს თარგმანი ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენს 60 000 დოლარზე მეტს. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება დეკემბერში ნიუ-იორკში, ჯილდოს გადასცემს გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში.

დანვრილებით: <https://bit.ly/2u2vkE1>

განაცხადების მიღების ვადა: 15 სექტემბერი 2019 წ

3. კორუფციასთან დაკავშირებული, საცხოვრისის პრობლემის მოგვარებისაკენ მიმართული მედიაპროექტები

გეოგრაფია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი

არაკომერციული ორგანიზაცია New Media Advocacy Project (NMAP) აცხადებს კონკურსს 10 თვიან მენტორულ პროგრამაში მონაწილეობაზე. პროგრამა მიმართულია ისეთი მედია პროექტების შექმნის და გავრცელების მხარდაჭერისკენ, რომელიც ებრძვის ადამიანის უფლებების შეზღუდვას. მონაწილეები შექმნიან მცირე მედია პროექტებს საკუთარ ქვეყნებში გასავრცელებლად. ნამუშევრები შეიძლება იყოს ნებისმიერ ფორმატში. (მოკლემეტრაჟიანი ვიდეო, ვებ-დოკი, ინტერაქტიული ან მულტიმედია ინსტალაცია, ანიმაცია შევსებული ან ვირტუალური რეალობისთვის, ფოტო და ა.შ.) პროგრამა ნოემბრის დასაწყისში, ერთკვირიანი რეგიონალური შესავლით დაიწყება. მეორე შეკრება შედგება 2020-ის მარტში, რომელზეც პროექტების საწყისი ვერსია განიხილება და უკვე გადაღებული მასალის გავრცელების გეგმა დამუშავდება. მგზავრობის ხარჯებს ანაზღაურებს პროგრამა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2k6cryl>

განაცხადების მიღების ვადა: 22 სექტემბერი 2019 წ

4. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტები

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის გრანტების მიზანია მხარი დაუჭიროს საგამოძიებო პროექტებს, რომლებიც ეძღვნება კორუფციას და სახელმწიფო ან კერძო სექტორის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 10 000 დოლარს. თანხა გათვლილია სამგზავრო ხარჯების დასაფარად, დოკუმენტების დასამუშავებლად და ტექნიკის დასაქირავებლად.

განაცხადის შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტებს, რომელთა გამოძიებები შეეხება აშშ-ს, როგორც სამთავრობო და ბიზნეს სექტორს, ისე მოქალაქეებს. მასალები უნდა გამოქვეყნდეს ინგლისურ ენაზე. განაცხადები მიიღება ინგლისურ ენაზე, აუცილებელია თან ახლდეს ბიუჯეტის დეტალური აღწერა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2oQZRUp>

განაცხადების მიღების ვადა: 23 სექტემბერი 2019 წ

5. სამოგზაურო გრანტები ჟურნალისტებისათვის Climate Tracker-გან

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა და მოგზაურობის სრულად დაფინანსება შეუძლიათ მიიღონ ჟურნალისტებმა 18-დან 32 წლამდე. ორგანიზაცია Climate Tracker-ის სამოგზაურო გრანტები ეხება კლიმატის ცვლილების თაობაზე გაეროს მოლაპარაკებების გაშუქებას. შეხვედრები გაიმართება 29 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით სანტიაგოში, ჩილე. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარ ქვეყნებში ნავთობის მოპოვების თემაზე მომზადებული მასალები.

მასალები მიიღება ნებისმიერ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/2kzhkQM>

განაცხადების მიღების ვადა: 27 სექტემბერი 2019 წ

6. კულმანის ცენტრის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის, მწერლებისა და მხატვრებისათვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ჟურნალისტებს, მწერლებს და ყველას ვინც მუშაობს წიგნების შექმნის პროექტებზე, შეუძლიათ შეიტანონ განაცხადები ნიუ-იორკის სასტიპენდიო პროგრამაზე.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებული კულმანის ცენტრი 9 თვიან პროგრამაში მონაწილეობისათვის აარჩევს 15 სტიპენდიანტს. სტიპენდიანტები იმუშავებენ საკუთარ პროექტებზე, ჩაერთვებიან ცენტრის მიერ ორგანიზებული იდეების გაცვლის ღონისძიებებსა და ბიბლიოთეკის საჯარო ფორუმებში.

ყოველი სტიპენდიანტი მიიღებს 70 000 ამერიკულ დოლარამდე. ასევე, გამოეყოფა საოფისე სივრცე და ბიბლიოთეკის რესურსებზე სრული წვდომა. განაცხადის შევსება შეუძლიათ.

დანვრილებით: <https://on.nypl.org/2gYGodV>

განაცხადების მიღების ვადა: 27 სექტემბერი 2019 წ

7. ნიმანის ფონდის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის, მედია ანალიტიკოსებისთვის, გამომცემლებისთვის, ლექტორებისა და ვებ-დიზაინრებისათვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ნიმანის ფონდი ჰარვარდში ჟურნალისტებს სთავაზობს მოკლევადიან სტიპენდიებს ჟურნალისტიკის ხარისხის ასაწევად მიმართული კვლევითი პროექტების განსახორციელებლად. პროექტები უნდა ეხებოდეს: პროგრამირებას, დიზაინს, ფინანსურ სტრატეგიებს და სხვა.

სტიპენდიანტები ჰარვარდის უნივერსიტეტში შეძლებენ დაჰყონ 12 კვირამდე, პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე. ისინი მიიღებენ წვდომას ჰარვარდის უნივერსიტეტის რესურსებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და ბიბლიოთეკასთან. პროგრამის მონაწილეები ყოველკვირეულად მიიღებენ სტიპენდიას 1 350 ამერიკული დოლარის ოდენობით. ჰარვარდში ყოფნის დროს ისინი იქნებიან უზრუნველყოფილი უფასო საცხოვრებლით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2TGMc1s>

განაცხადების მიღების ვადა: 27 სექტემბერი 2019 წ

8. გრანტები ტრანსსასაზღვრო გამოძიებებისათვის

გეოგრაფია: ევროპა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჩათვლით

Reporters in the Field აცხადებს კონკურსს ჟურნალისტებისთვის, ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით შექმნან საერთო ევროპული ისტორიები/მასალები, რომლებიც არ მთავრდება საზღვრებთან (ტრანსსასაზღვრო). გრანტების ოდენობა არ აღემატება 8 000 ევროს ჯგუფზე. თანხა მოიცავს ისტორიის მომზადების, წვრთნის, ექსპერტების შეფასებების მიღების ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2M63ei1>

განაცხადების მიღების ვადა: 29 სექტემბერი 2019 წ

9. პრალის სამოქალაქო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამა

გეოგრაფია: აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მცხოვრებ სამოქალაქო აქტივისტებს, ჟურნალისტებს, ურბანისტებს, ეკოაქტივისტებს, მოქალაქეებს რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ საკითხებზე მუშაობენ შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ პრალის სამოქალაქო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამაზე.

კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ სამოქალაქო სექტორში ან ჟურნალისტიკაში საქმიანობის დოკუმენტალურად დადასტურებად გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემს წარმატებით შეასრულოს სამთვინი პროექტი.

პრალის სამოქალაქო ცენტრი ფარავს სასტიპენდიო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს: მოგზაურობა, ვიზა, საცხოვრებელი ხარჯები.

დანვრილებით: <https://bit.ly/2llvq2E>

განაცხადების მიღების ვადა: 30 სექტემბერი 2019 წ

10. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

National Endowment for Democracy/ NED-ის მთავარი დამფუძნებლების, რონალდ რეიგანის და კონგრესმენ ფაცელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა გახლავთ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროგრამა დემოკრატიის აქტივისტებს, ჟურნალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს და მეცნიერებს მთელ მსოფლიოდან სთავაზობს გაატაროს 5 თვე NED-ის რეზიდენციაში, ვაშინგტონში, იმისათვის რათა აწარმოონ კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის დემოკრატიის კვლევა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2LHsChd>

განაცხადების მიღების ვადა: 1 ოქტომბერი 2019 წ

11. ვიშეგრადის გრანტები

გეოგრაფია: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

ვიშეგრადის ფონდი მხარს უჭერს რეგიონალურ პარტნიორობას არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. ასევე, კერძო კომპანიებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებს შორის. რაც შედეგად ხელს უწყობს თანამშრომლობის გადრმავებას ვიშეგრადის რეგიონში.

პროექტები უნდა ავითარებდეს აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობას V4-ის მინიმუმ სამ ქვეყანას შორის. პროექტების განხორციელების მაქსიმალური ვადაა 18 თვე.

პროექტი უნდა შეესატყვისებოდეს საგრანტო პროგრამის 7-დან მინიმუმ ერთ ძირითად სფეროს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2vKnL63>

განაცხადების მიღების ვადა: 1 ოქტომბერი 2019 წ

12. გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდი (NED) ყოველწლიურად ფინანსურად ეხმარება ასობით არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიის მიზნების სასიკეთოდ და დემოკრატიული ინსტიტუტების პოზიციების განსამტკიცებლად.

გრანტის ოდენობა დამოკიდებული პროექტის მოცულობაზე, თუმცა საშუალო გრანტი გაიცემა 50 000 დოლარის ოდენობით.

NED აფინანსებს მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა შორის შეიძლება იყოს, ასოციაციები, დამოუკიდებელი მედია-რესურსები და სხვა მსგავსი ორგანიზაციები. სამოქალაქო ორგანიზაციებიც.

NED მიესალმებიან განაცხადებს სხვადასხვა მოწყობის მქონე ქვეყნებიდან, მათ შორის: ახალი დემოკრატიის ქვეყნებიდან, ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნებიდან, რეპრესიული მოწყობის და დემოკრატიის რელსებზე გადამსვლელი ქვეყნებიდან.

NED დაინტერესებულია ადგილობრივი დამოუკიდებელი ორგანიზაციების განაცხადებით, არაპარტიული პროგრამებით, რომლებიც მიმართულია:

ადამიანის უფლებების დაცვასა და განვითარებისაკენ

ინფორმაციის თავისუფლების და დამოუკიდებელი მედია რესურსების მხარდაჭერისკენ

დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისკენ

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისკენ

საზოგადოებრივ სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერისკენ

დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების და ინსტიტუტების განმტკიცებისკენ

სამოქალაქო წიგნიერების მხარდაჭერისკენ

დემოკრატიული კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობისკენ

ასოცირების თავისუფლების ხელშეწყობისკენ

მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერისკენ

დანვრილებით: <https://bit.ly/2xlgRTe>

განაცხადების მიღების ვადა: 4 ოქტომბერი 2019 წ

13. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტიგლერის ცენტრის სტიპენდია ჟურნალისტებისთვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ეკონომიკის და სახელმწიფოს შესწავლის სტიგლერის ცენტრი, ორგანიზებას უწევს სარეზიდენტო პროგრამას ჟურნალისტებისთვის. პროგრამა განხორციელდება ჩიკაგოში 23 მარტიდან 13 ივნისამდე პერიოდში. ის ორიენტირებულია ბიზნესის თემებზე მომუშავე ახალი თაობის ჟურნალისტებზე. მონაწილეები დაესწრებიან სწავლებებს, ღონისძიებებს, ითანამშრომლებენ კოლეგებთან...

ორგანიზატორები ფარავენ ავიამოგზაურობის და ტრენინგის ხარჯებს. ასევე, უზრუნველყოფენ სამუშაო სივრცით და იძლევიან საშუალებას მომზადებული მასალები გამოქვეყნდეს ბლოგზე ProMarket. მონაწილეები ასევე მიიღებენ სტიპენდიას 12 000 დოლარის ოდენობით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2gb9wPU>

განაცხადების მიღების ვადა: 20 ოქტომბერი 2019 წ

14. კონკურსი არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის საკითხებში ცნობიერების ამაღლების თემაზე

გეოგრაფია: საქართველო

არასამთავრობო ორგანიზაცია CIDA აცხადებს კონკურსს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

შერჩეული ორგანიზაციები განახორციელებენ კამპანიას და სხვადასხვა აქტივობას დანაშაულის პრევენციის მიზნით მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად. პრეტენდენტი შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც მსგავს სფეროში მუშაობის გამოცდილება გააჩნია. მცირე გრანტები ბიუჯეტი არ აღემატება 4000 ევროს.

დანვრილებით: <https://bit.ly/2lDfPRS>

განაცხადების მიღების ვადა: 20 ოქტომბერი 2019 წ

15. გრანტები მხატვრებისა და ჟურნალისტების ერთობლივი პროექტებისთვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

Eyebeam Center for the Future of Journalism Craig Newmark Philanthropies მხარდაჭერით, გთავაზობთ 500-დან 5000 დოლარამდე გრანტებს, ჟურნალისტების და მხატვრების ერთობლივი ჟურნალისტური ნამუშევრისთვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ, მხატვრებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი გუნდი, რომელიც მუშაობენ ინოვაციურ და მამხილებელ ჟურნალისტურ პროექტებზე. საგრანტო პროექტები, შეიძლება იყოს გათვლილი ხანგრძლივ პერიოდზე და შეიცავდეს ფოტო, აუდიო, ვიდეო და ტექსტუალურ მასალებს. შესაძლო თემები: მონაცემთან კონფიდენციალურობა, 2018-2020 წლის არჩევნები, ტექნოლოგიების როლი, პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებელი კამპანიები, კვლევა თუ როგორ გამოიყენება ტექნოლოგიების საზოგადოების საზიანოდ, ხელოვნური ინტელექტი, დეზინფორმაციასთან ბრძოლა. განაცხადები მიიღებ ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/2GU68Gz>

16. ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდიები Chevening Scholarships

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს. პროგრამა ფარავს მაგისტრატურაში სწავლის საფასურს. (postgraduate scholarship).

ბრიტანეთის მთავრობის სახელწიფო სასტიპენდიო პროგრამა Chevening Scholarships, დაფინანსებული საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მიერ (FCO) <https://www.gov.uk/government/organisations/foreign-commonwealth-office> ასევე, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ, ორიენტირებულია სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებზე, მათ შორის ჟურნალისტებზე მთელი მსოფლიოდან.

პროგრამა ითვალისწინებს სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას (ჩვეულებრივ – მაგისტრატურის ერთი წლის დაფინანსებას) ნებისმიერ უნივერსიტეტში ნებისმიერ სპეციალობაზე. მიიღება განაცხადები კანდიდატებისაგან, რომლებმაც საბაკალავრო ეტაპი მაღალი შედეგით დაასრულეს და აქვთ 2-დან 5 წლამდე პროფესიული გამოცდილება. აუცილებელია ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა.

დანვრილებით: <https://bit.ly/2GU68Gz>

განაცხადების მიღების ვადა: 5 ნოემბერი 2019 წ

17. ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლის ინტერაქტიული ისტორიების კონკურსი

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსზე საკუთარი ინოვაციური პროექტების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ბლოგერებს და მწერლებს.

ბორნმაუსის უნივერსიტეტის მედიასკოლია

(<https://www.bournemouth.ac.uk/about/our-faculties/faculty-media-communication>) იღებს

განაცხადებს კონკურსზე New Media Writing Prize (NMWP).

კონკურსზე მიიღება ინოვაციური და ინტერაქტიული სთორითელინგის ჟანრის ნამუშევრები (როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური), შექმნილი სპეციალურად პერსონალური კომპიუტერებისთვის ან მობილური მონაცემებისათვის.

კონკურსის მთავარი გამარჯვებული მიიღებს 1 000 ფუნტ სტერლინგს. სტუდენტური კატეგორიის გამარჯვებული მიიღებს 750 ფუნტ სტერლინგს Unicorn Training-საგან. ასევე იქნება გადაცემული პრემიები Gorkana Journalism Award – 750 ფუნტი სტერლინგის ოდენობით და პრიზი პლატფორმა Genarrator-ის ი გამოყენებისათვის 500 ფუნტი სტერლინგის ოდენობით.

დანვრილებით: <https://bit.ly/1Vax4Qy>

განაცხადების მიღების ვადა: 22 ნოემბერი 2019 წ (სტუდენტური კატეგორია – 13 დეკემბერი 2019 წ)

© **Baltic Centre for Media Excellence, 2019**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიევსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- radcliffe.harvard.edu
- unca.com
- thetilt.org
- fij.org
- act.climatetracker.org
- nypl.org
- nieman.harvard.edu
- n-ost.org
- eabr.org
- praguecivilsociety.org
- ned.org
- visegradfund.org
- research.chicagobooth.edu
- jobs.ge
- eyebeam.org
- chevening.org
- newmediawritingprize.co.uk